გამოცემა „ქსანი“ № 4.

(ვუძღვნი ახალ გაზდობას.)

ძირითადი ცოდნა,
ანუ
ცხოვრების შესავალი.

29582

მიხეილ ივ. „მომაკვდავიმ“

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук Грузии

ტფილისი.
სტამბა „გუტენბერგის.“ ოლგისა და სლეპცოვის ქუჩა. № 1.
1907 წ.

წინასიტყვაობა.

ჩვენის აზრით, ახალგაზდობა საშინელ გაჭირვებულობაში ჩავარდნილი. იბადება, შედის ცხოვრებაში, იმისათვის სულ უცნობ ბაღში, და სად არის ამ დროს იმისათვის პატრონი, დროზე მიეცეს ძირითადი ცნობანი, წინასწარი, საჭირო სახელმძღვანელო, რომელიც უჩვენებს ცხოვრების ნამდვილ სახეს—თუ რას წარმოადგენს ადამიანის დასაწყისი, რა პირობაში შეხვედრია ბუნებას ან რა ალაგი აქვს იმის ცოდნა შეხედულობას და სხვა... რომ ამ გვარად ახალგაზდას მიეცეს სწორე თვალთა ხედვის ისარი შეხედოს ცხოვრებას თავისი ნამდვილი სახით. ვცნობთ რა ამ გვარი სახელ მძღვანელოს არსებით საჭიროვებას, ამ დანიშნულობით ვაქვეყნებთ ამ მცირედ შრომას. ჩვენი ცდა იყო, დაგვეკმაყოფილებინა რა ზევით აღძრული შენიშვნა, ამავ დროს ხელ შეუხებელი დაგვეტოვნა მკითხველის პიროვნება, აგვეცილებინა იმისათვის პირად ჩვენი თუ სხვის შეხედულოება. ვუჩვენებთ რა აზრების ცვალებადობას (რაც ეჭვს გარეშეა), ხაზს ვუსვამთ იმის დამოუკიდებლობას, თვით გამორკვევას, რომელზედაც უნდა დამყარდეს იმისი ზნე თუ იდეალები.

---

1. რა პირობაში ვართ ჩვენ დედამიწაზედ.

ვიშ, რაღა უნდა სულსა და გულსა, რომ არ გვესმოდეს, არა ვხედავდეთ; დღიდგან დაბადებისა აქამომდენ რამდენი რამ გვინახავს, რამდენი გვსმენია, მაგრამ კიდევ სად არის ბოლოს, გარემო ბუნების მრავალ ფეროვნებას ვუცქიროთ, თუ აქვე ჩვენ ადამიანებ შორისვ ყველა იმას, რაზედაც მუშაობს ადამიანის ხელი, გონება?.. ღმერთო ჩემო, რა უსამზღვრო მრავალ ფეროვნებაა ჩვენ თვალ წინ!!

ავიღოთ თუნდა უკანასკნელი. პირდაპირ არ ვიცით, რაზე გავაჩეროთ ჩვენი ყურადღება, რა რას ვამჯობინოთ· შეხედეთ მარტო შენობებს, ჩვენ თავ შესაფართ, რა ურიცხვია. და ამ ურიცხვში აბა თუ ორი შენობა შეგხვდეთ სწორედ ერთნაირი!. ახლა ამათი მორთულობა? წარმოიდგინეთ ახლა ამ შენობებშივე მორთული სავაჭროები მეტადრე დიდ, მდიდარს ქალაქებში, რამდენ ნაირი საქონელი აწყვია თვითეულ მათგანში ათასნაირი დანიშნულებისა და ათას ნაირი ხელოვნობით...
ჩემო მკითხველო, ნუ თუ შესძლებ გადაავლო სათითაოდ ყველას თვალი? თვითეულ მათგანს უცქერი და თვალი ზედა გრჩება. მაგრამ რა არის ყველა ეს შედარებით მაგალითად, რკინის გზებთან, გემებთან, რომლებმაც გარდი გარდმო დაჰქნეს ზღვა და ხმელეთი და ეს ორი ბუმბერაზი დაუმორჩილეს ადამიანს? აბა ახლა შეიხედეთ ქარხანა-ზავოდებში, —რა მანქანებია როგორ ერთი მეორის შემწეობით მოდიან მოძრაობაში და ყველა თავ

თავის დანიშნულებისათვის..

ჩემო მკითველო, გადაავლე თვალი ყველა ამას და აბა შეიკავე აღტაცება, მეტადრე თუ გაგახსენდა, რო. გორ გაგძნელებია უბრალო ხის მოგრეხა ან გათლა, აქ კი უზარ-მაზარი რკინები თუ სხვა ლითონები კევისავით ელეჭინება, თურმე, ადამიანს და რა სახეც უნდა იმას აძლევს.

საოცარია ყველა ეს, მაგრამ არიან უფრო გასაოცა- რნი, მაგალითად, სიტყვების გადაცემა ერთი ალაგიდგან მეორეში მანძილის მიუხედავათ მავთულების საშუალებით, ან გამობაასება, იმავე მანძილზედ, ან ისეთი ძალის მო- პოვება, რომელსაც ადამიანი იყენებს როგორც მამოძრა- ავებელ ძალას, როგორც სინათლეს, ან როგორც სით- ბოს, და კიდევ რამდენი სხვა...

ერთი სიტყვით, დღეს ამათი რიცხვი ლეგიონია. ახლა გადავიდეთ ადამიანის გონების სალაროში. აქაც ხომ ასეთივე მრავალ-გვაროვნაა. საითკენ გინდა, რომ ადამიანის გონება არ გაწეულა. ის შეხებია დღიურ ჭირ- ვარამს, იკვლევს თავის თავს, კაცობრიობის წარსულს, აწმყოს, და მომავალს; ეძებს მიზეზს არსებობისას, სიკვდილ სიცოცხლისას, მიზეზს ამა იმ სნეულობისას, კამათობს მთლად ბუნებაზედ, იმის ძალებზედ, და სხვა, და სხვა... სიტყვით, ადამიანს საითაც არ გინდა დაუქნია ბალიკი, რაზედაც არ გინდა, ისა ფიქრობს, რის გამო დღეს ჩვენ ზღვა ფიქრები, აზრები გვახვევია გარსა. ამ

გვარათ ვიბადებით, ვახელთ თვალს თუ არა, იმ დღიდ-
გან აქამომდისინ სანახავს და გასაგონს ბოლო არ უჩანს.
ყველა ესენი გვხდება მზა-მზარეულათ, რის გამო ბევრი
ჩვენგანი იმ აზრს ეჩვევა, **რომ თუ სულ, არა ზოგი ამა-
თგანი ისე ეძლევა ადამიანს, როგორც ჰაერი, ან წყალი
იყო არის და იქნება; რომ ამასთან ის რწმენა, შეხე-
დულობა, თუ ზნეობა, რომელსაც აღვიარებს ამ.ს გა-
გარეშემო ხალხი და რომელშიც თვითონ აღიზარდა,
არიან უტყუარნი, ნამდვილნი: რომ ეს რწმენა, ეს
რჯული, ზნე, ჩვეულობა ყოფილა და იქნება როგორ-
ც თვით ღვთისაგან დადგენილი, ნამდვილი; ყველა
ამასთან, რომ თვით ადამიანიც ყოველთვისინ ესეთივე
მეტყველი, მსჯელი იყო, როგოც ეხლა.** მაგრამ, ჩემო
მკითხველო, ამ გვარი წარმოდგენა, თურმე, სრული შე-
ცდომა ყოფილა. ეხლა სწავლულებს გადაჭრით სწამთ,
რომ იყო ისეთი დრო, როდესაც ადამიანი გონებით ზო-
გიერთ ეხლანდელ **ოთხფეხ საქონელზედ დაბლა იდგა** და
არც ისეთი გარეგნობა ჰქონდა, როგორც ეხლა. პირვე-
ლის მაგალითს თვით ახლაც ვხედავთ ველურ ხალხში,
სადაც ბევრგან ორამდენ თვლაც არ შეუძლიანთ, ცე-
ცხლი არ იციან რა არის და საცმელი; ცხოვრობენ რო-
გორც ნადირნი. ასეთი და ამაზე ბევრით დაბალი საფე-
ხურიც განიცადა, თურმე, ადაიმანმა. ამის საბუთები უხვი
აქვს მეცნიერებას.

აქედან ცხადია, თუ რა შეგნებით შეხვედრია ადა-

მიანი როგორც ბუნებას, ისე თავის თავსა—სრულიად უვიცი, როგორც ერთი რომელიმე ტყის ყეყეჩი ნადირი. იყო გარეშე ბუნება და ადამიანიც, როგორც ერთი სხვა მხეცთაგანი,—არც სახლი სადმე იმისათვის, არც სასმელი, არც ცეცხლი, არც სხვა რამ იარაღი. სჭამდნენ სად უმად ხორცს, სად რა მცენარის ნაყოფს, სად კიდევ ერთსაც და მეორესაც...

დიახ, როგორცა ხედავ, ჩემო მკითხველო, ადამიანი ბუნებას შეხვედრია, ყოვლად უვიცი როგორც თვით გარემო ბუნებისა, ისე თვით თავის თავისა—დედი შობილა... იმისათვის ამ დროს ცხადია, უცნობი იყო, თუ ვინ არის თვითონ, ან ვინ გააჩინა რათა, რა ავია, რა კარგი და სხვა... **არ იყო ამ დროს შენ ჩემობა, საკუთრება და სხვა...** სიტყვით, ადამიანი იყო უსუსური. მერე რას ვხედავთ? იმის კვალად, რამდენადაც ვის ეხსნებოდა საჭიროება ამა იმ კითხვაზედ, იმდენად თავისი ღონის კვალად აკვირდებოდა კიდეც ცხოვრებას და თავ-თავის ებური, აზრი გამოჰქონდა ამა იმ კითხვაზედ დრო და ვითარებაში სხვადა და სხვა ხშირად ერთი მეორის წინააღმდეგი. **აქედან დასკვნა: ადამიანი შემოსულა ცხოვრებაში სრულიად გაუგებრად, როგორც თავისი თავისა, ისე მთლად ბუნებისა. საჭიროება ნება უნებლივ აფიქრებინებს იმას ამა იმ კითხვაზედ, რის მიხედვითაც ის თან და თან ეძლევა ფიქრებს, ძიებას, ადგენს ამა იმ შეხედულობას, არკვევს თავის მდგომარეობას ამ**

გვარდ ყველა არსებულ შეხედულობას, რწმენას ზნეჩვეულობას თუ წეს-წყობილობას უნდა ვუცქიროთ, როგორც ადამიანის გონების ნაყოფს, იმის გამოგონილს და არა მზამზარეულად ვისგანმე მოცემულს.

2. აზრთა წინააღმდეგობა ცხოვრებაში.

ჩვენ შევნიშნეთ, რომ ადამიანი შეხვედრია ბუნებას სრულიად, უვიცი, ბრმა. საჭიროების და თავისი ძალლონის, კვალად ის ეძლევა მიძრაობას, როგორც გონებით ისე ჯანით, მაგალითად იმან იცის, რომ აუცილებელია იმისათვის საჭმელი, ამისათვის ის ეძებდა და ეძებს ამ საჭმელს; **ისაჭიროვა ტანთ-საცმელი** და შეუდგა კიდეც ამაზე ზრუნვას; ისაჭიროვა გაადვილება **მისვლა** მოსვლისა—ამას მოჰყვა ცხენი, ურემი, ეტლი, ბოლოს რკინის გზაც და სხვა...

ისაჭიროვა ზღვა-მდინარეებზე სიარული—გამოიგონა ნავი, ნავტიკი, გემები და სხვა... ხედავს ისჯება სხვა და სხვა სენისაგან, შეუდგა ამათ მიზეზების გამოკვლევას და თან და თან იცილებს კიდეც ამა იმ სენსა.

ასეთივე მეცადინეობას იჩენს ის თავის **სულიერ მხარეშიაც.** მაგალითად, ესაჭიროვება გაგება თავისი ვი-

ნაობისა, თუ ვინ არის იგი, მიზეზი ბუნებისა და თავისი გაჩენისა, სად არის თვითონ, რათა და სხვა... მერე რას ვხედავთ?—თვით ღრმა წარსულიდგანვე ყველა ხალხს თავ თავის პირობის კვალად უფიქრია ამა იმაზედ და შეუდგენია თავ-თავისი შეხედულობა ამა იმ კითხვაზედ. ეს პასუხი სხვა დასხვა, ერ და იმავე ხალხში, სხვა და სხვა ან ერთ და იმავე დროს ხშირად სხვა და სვხა ნაირი ყოფილა. რაც შეეხება ამ პასუხს დროთა მსვლელობაში ხშირად უფრო განსხვავებულა—**ერთი აზრი თავის დროს გამეფებული შეცვლილა მეორითა, მეორე** მესამითა და სხვა.. რაც ერთ დროს ყოფილა ცნობილი ჭეშმარიტებად ხშირად მეორე დროს უცვნიათ სიყალბეთ, შეცდომათ და თვით ერთ და იმავე დროსაც, რასაც ერთი აღვიარებს სამართლეთ, მეორეს მტკნარი სიცრუვე ჰგონია. ამასთან, ხომ ყველასათვის ცხადია, რომ ერთ და იმავე საგანზე მრავალ ნაირი აზრი მეფობს, მაგალითად იყო დრო როცა თვითეული ცალკე ბუნების მოვლენა,—ქარი, ცეცხლი, ქუხილი, ელვა და სხვა ღმერთებად მიაჩნდათ. (თვით ეხლაც ბევრგან არის, თურმე, ამისთანა რწმენა); შემდეგ ზოგ ხალხში ეს რწმენა დაეცა, სამაგიეროდ სწამდათ ორი ღმერთი, ღმერთი კეთილისა და ღმერთი ბოროტებისა. თვით ჩვენ დროშიაც ხომ ორი სხვა და სხვა აზრია წამოყენებული—ერთისმხრივ რწმენა ერთ არსებაში, მეორეს მხრივ სრული **უარ-ყოფა ღვთისა.**

ასეთივე მდგომარეობაშია ხომ შეხედულობა სულზედ. იყო დრო, როცა სწამდათ სულის უკვდავობა, იმი სი გადასახლება ერთის ცხოველიდგან მეორეში. ასეთი რწმენა თვით დღესაც არის ზოგიერთა ხალხში. არის სხვა გვარი რწმენაც, რომელიც აღვიარებს სულის თან და თან გაქრობას. დღეს არის ბევრი სხვა შეხედულობაც, რომელთა შორის ორი უმთავრესია —ერთის მხრივ სრული უარყოფა თვით სულისა, როგორც ცალკე ბუნებისა ცხოველში საერთოდ და კერძოთ ადამიანში, მეორეს მხრივ რწმენა სულის ცალკე არსებობაში და იმის უკვდავობაში.

ამასვე განიცდიან ზნეობრივი კითხვებიც. იყო დრო, როდესაც შვილი **ჰკლავდა მოხუცებულ მამას,** და ეს საქციელი ყოვლად ზნეობრივად მიაჩნდა, აგრეთვე ერთი ერის ადამიანი იმეტებდა საკლავად და საჭმელად მეორე ერის ადამიანს-და ეს ყოვლად ბუნებრივად მიაჩნდათ. ამის მზგავს სურათებს ეხლაცა ვხედავთ ზოგი ერთა ველურ ხალხში· თვით განათლებულ ხალხშიაც (**ვითომდა განათლებული**?) თუ ერთს მიაჩნია დიდ ცოდვად არამც თუ ადამიანის დამონება, არამედ საერთოდ ცხოველისაც, მეორეს კი ესევე ყოვლად ზნეობრივად. ერთი თუ საქონლის საჭმელად ხმარებაშიაც კი ხედავს დიდ უზნეობას, მეორე კი თვით ომსაც უკქერის, როგორც ზენობრივ მოვლენას. ერთისათვის სხვის მოტაცება, გამორჩენა, ქონების შეძენა და მთავრობისადმი ყურ

მოჭრილი მონობა თუ ბუნებრივია, მეორესთვის, ყველა ეს მომაკვდავი უზნეობაა.

ერთის აზრით, ყოველივე **საკუთრება** წმინდაა და ხელ შეუხებელი, მეორეს აზრით კი უზნეობა, როგორც ნაყოფი ადამიანის სისუსტისა. ამასთან, რასაკვირველია, თვითეული ამა იმ თავის რწმენას ამყარებს ამა-იმ **თ ვისებურ საბუთზედ**

ამასვე ვხედავთ ყველა სხვა მეცნიერულ დარგებშიაც. საიდგან წარმოსდგა მიწა, საერთოდ სამყარო, რა დამოკიდებულობაა ამათ შორის, რამ გამოიწვია სიცოცხლე, მოძრაობა—ყველა ამაზედ აუარებელი შეხედულობაა გამოთქმული, ამათში ბევრი ერთი-მეორის წინააღმდეგი. მაგალითად, ერთ ხანამდე ათასი წლების განმავლობაში შეურყეველი და საყოველთავო იყო ის აზრი, ვითომ ადამიანი სულ განსაკუთრებული ქმნილება ყოფილიყოს. ბოლოს შემოეჭრება ძირითად წინააღმდეგი აზრი, რომელიც ადამიანს უცქერის როგორც ერთ განვითარებულ ცხოველთა რიგს; უფრო მეტი ამტკიცებს ცხოველთა საერთო ჩამომავლობას.

გადავხედოთ ახლა თვით თანამედროვე საზოგადო ცხოვრებას. თვითეული ჩვენთაგანი მოწამეა, თუ როგორ იღვწიან ზოგიერთები საზოგადო კეთილ დღეობისათვის. ამათ მიზანი ერთი აქვთ, მაგრამ გზა კი სხვა და სხვა, მერე რას ვხედავთ?-თვითეულს ნამდვილი მიაჩნია მხოლოდ თავისაგან არჩეული გზა, ყველა დანარჩენი კი ყალბი, შე-

მცდარი. ამ ნიადაგზედ რამდენია შეხეთქება, კამათი ამის მიუხედავათ დღევანდლამდენ არც ერთ მიღებულ გზას არ მოუსპია თითქმის სრულიად თავისი არსებობა, თუმცა კი ცხადია, ნამდვილი გზა ამათში ერთი ~~ი~~ ნდა იყოს.

აქედან დასკვნა: ადამიანი სცდება. ჩვენგან მიდებულ ამაიმ შეხედულობას არ უნდა ჰქონდეს გადაჭრილი ხასიათი. ~~მიუხედავათ~~ არც ერთი აზრი არ უნდა ~~მ~~ მივიღოთ ~~ბ~~ ~~ბ~~ ~~ბ~~

იმ აზრისა, ფანატიკი. ასეთი სურათებია დღესაც ჩვენ თვალწინ. ასეთი გარემოება თუ საერთო მოვლენაა, ხდება გამონაკლისიც. შიგა და შიგ ჩნდება პირი, რომელიც იგებს ამა იმ კითხვის ვითარებას, მტკნარ სიყალბეს და მეტ ნაკლებად ააშკარავებს ამას. აქ ხდება შეჯახება ძველი აზრისა ახალთან. ეს შეჯახება იწვევს პირვანდელის მოზიარეთა გულის წყრომას, რასაც ხშირად მოსდევს მოწინააღმდეგის სხვა და სხვა გვარად დასჯა. ისჯებიან ეავით იმის თანამგრძნობნიც. ამ გვარად ახალი აზრი, თითქოს, იყლაპება, მაგრამ არა.—ზოგიერთებს ჭკუაში უჯდებათ. ამ აზრს ისინი ანვითარებენ, თვითეული ჯერ თავისში მერე საიდუმლოთ, ან აშკარათ ამა იმ პირებთან, ან პირდაპირ ხალხში. ამ გვარად დევნული აზრი აშკარავდება ხელ ახლად. ხალხიც თან და თან ეჩვევა ამ აზრს. ეს აზრი თან და თანობით გადააქვთ თავისში. ამის კვალად სუსტდება ძველი რწმენაც. თან და თანობით, უფრო მეტი გაბედვით ახალ-აზრს მიჰქონდა იერიში ძველზედ და მეტ უფლებას პოულობდა. ამ ბრძოლაში გადიოდა ზოგჯერ ასი წლებიც, ვიდრე ესა, თუ ის აზრი მოიპოვებდა კანონიერობას, აშკარად არსებობის უფლებას.

ასე ამ გვარად თითქმის ყოველივე ახალ აზრს დღევანდლამდენ თანა სდევნის დაცინვაც, გაკიცხვაც, ცილის წამებაც დევნაც და სხვა...

აქედან დასკვნა. ეკელა ახალი აზრი ბრძოლით იკვლევდა და იკვლევს გზას. ამ გვარად ეოველი აზრი, რომელიც კი სხვა და სხვა დროს ჭეშმარიტებად ეოფილა ცნობილი,

თავის პირველ ხანში უკიდურესად იკიცხებოდა, დაიტინებოდა, როგორც უვარგისი, ულბი. ასეთია დღევანდლამდენ აზრთა მსვლელობა.

4. ყველასათვის აუცილებელი კითხვები.

ხომ ცხადია, ჩემო მკითხველო, როცა სადმე მიდიხარ, ან რასმე აკეთებ უეჭველად იცი, სად მიდიხარ ან რას აკეთებ, და რათა. უამისოდ არც ერთი გონება საღი ადამიანი არც სადმე წავა, არც სხვა რამეს მოჰკიდებს ხელს. სად მიხვალ—რათა, რას აკეთებ—რათა, რისთვისა, ყველგან და ყველაფერში გაისმიან ეს კითხვები. ამის გარეშე ჩანადენი ხვედრია მხოლოდ სულელისა.„ დიახ ასეა და ესეც უნდა იყოს, ეს ხომ ყველასათვის ცხადია—გვეტვის ჩვენი მკითხველიც.

ამასთან რამდენადაც მნიშვნელოვანია საგანი, იმდენად ხომ უფრო ფრთხილნი ვართ დაწყებაში? ამ მხრივ კი დამეთანხმები, ჩემო მკითხველო, რომ ყველაზედ უდიდესი, უპირველესი საგანი ჩვენ ყველასათვის—ეს ჩვენი სიცოცხლეა.

თუ რა არის ჩვენი სიცოხლე, რათ დავიბადეთ, სად მოველით, ვისგნით, რა აზრით, ნუ თუ ამაზე საჭირო, აუცილებელი კითხვები სხვა რომელიმეა? არა და არა!... ამის შემდეგ შენ მოგანდობ, ჩემო მკითხველო, მსჯავრი დასდო, თუ რას წარმოადგენს ადამიანის შრომა-ფუსფუსი ამ კითხვების გარეშე, თუ ამ პასუხზე არის აშენებული იმისი ცხოვრებ.

აქედან დასკვნა: კითხვანი-რანი ვართ, სადა, რაშია ჩვენი დანიშნულება, არსებითი კითხვებია ყველას თავის,-ან ბანი, რომელზედაც უნდა აშენოს შეგნებულად თვითეულმა თავისი ცხოვრება.

5. რა პასუხია ცხოვრებაში ამ კითხვებზ დ.

უეჭველია, წინა წერილზედ ბევრი გაოცდება. მერე ვინ არის, რომ ამ კითხვებზედ პასუხი არ მიეცსო. ამის აზრი ხომ თვით სარწმუნოებით არის განმტკიცებული, მის გაგება ხომ მამა პაპითვე ბოდისო, შენიშნავს გულუბრყვილო მკითხველი.

დიახ, ჩემო მკითხველო, მაგრამ იცოდე ერთის მხრივ, რომ ქვეყანაზედ სარწმუნოება მრავალ ნაირია. და თვითეული ამათგანი თავისებურათაც ხსნის ამ იმ კითხვებს. მაგალითად ამა კითხვებზედ სხვა არის პასუხი ქრისტესი, სხვა არის ბუდდასი, სხვა არის სხვა და სხვა ბრძენისა.

მეორეს მხრივ უნდა იცოდე, რომ არც მეცნიერებში ამ კითხვებზედ ერთნაირი პასუხი. ერთ მეცნიერს სწამს ღმერთიც, უკვდავებაც, ადამიანის ესა თუ ის ღვთისაგან დანიშნულებაც.. მეორეს აზრით, არ არის არც ღმერთი, არც უკვდავება სულისა, რომ ყველა ბუნებაშია და მათ შორის ადამიანშიაც შედეგია ამა იმ ბუნების პირობებისა. რომ ამავე პირობებს ემორჩილება იმისი სიცოცხლეც.. არა სწამს რა ღმერთი, იმავ დროს ხედავს ბუნებაში სასტიკ წესიერებას, მტიკიცე კანონებს, საერთო გეგმას და რომ ამავე გეგმას ემორჩილება საზოგადოებრივი ცხოვრებაც და სხვა... აი ასეთი და მრავალი სხვა გვარი პასუხია დღეს ზემო აღნიშნულ თვითეულ კითხვაზედ, მაშინ, როდესაც ნამდვილი პასუხი, უეჭველია, ერთი უნდა იყოს

აქედან დასკვნა: ამ არსებით კითხვებზედ ცხოვრებაში პასუხი მრავალ ნაირია. თვითეულ შეხედულობას ჰყავს მეტი თუ ნაკლები მიმდევარი. ყველა ეს პასუხი—აზრია ადამიანისა. მაშა სადამე ყველა წარმოთქმულ, თუ მომავალ აზრებს ამ კითხვებზედაც უნდა მოვეკიდოთ შეგნებით და არა ბრმათ. თვითეული მათგანი ჩვენ ვუნდა შევამოწმოთ, რომლის შემდეგ

მივიღებთ ერთ-ერთ აზრს ამა იმ კითხვაზედ, ან სრულიად უარსა ვყობთ, როგორც შეცდომას და შევიმუშავებთ ახალს, საკუთარი შეხედულობის თანახმად.

6. მიზანი და საფუძველი ყოველი მსჯელობისა.

ყველა ზევით ნათქვამიდან ცხადია, ჩემო მკითხველო, ჩვენი ხვედრია განუწყვეტელი კვლევა—ძიება. რამდენადაც მუყაითად, მარჯვეთ მიდის ამ გზით რომელიმე ხალხი, იმდენად ის ავარგისდება თავის პროგრესს, იგებს ცხოვრების სინამდვილეს. ყოველ გვარ ძიებას თანა სდევს ორი უმთავრესი თვისება. ის ერთის მხრივ ეძიებს მიზანს, ნამდვილ პასუხს დასახული კითხვისას, ამ ნამდვილ პასუხს ჩვენს ენაზედ ვეძახით სიმართლეს ამა იმ კითხვაზედ. მეორეს მხრივ პასუხის მიცემამდენ ყოველი ძიება საჭიროვებს საბუთებს, საიდგანაც უნდა გამომდინარეობდეს ესა თუ ის დასკვნა, პასუხი.

აქედან დასკვნა: ჩვენ თვითეულს გვევალება ყველაფერში კვლევა, ძიება, და არა ბრმად აყოლება. ამასთან ყოველივე ძიებას, სჯა-ბაასი უნდ. მეარდებოდეს საბუთებზედ, რასაც მოსდევს ესა თუ ის პასუხი, დასკვნა.

მიხეილ „მომაკვდავი"

ნრ. ალიგორი

17
ᲐᲐ 83

ფასი 5 კაპ.